

შპს „მასტერ ჯგუფი“-ს (ს.5401945222)

მმართველობითი ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ:

1.1. კომპანია შპს „მასტერ ჯგუფი“-ს დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კომპანიის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასწმეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 16 მარტს.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია მირიან ჟიჟიაშვილი- რომელიც ფლობს 100%-იან წილს საწარმოს კაპიტალში.

2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

კომპანია შპს „მასტერ ჯგუფი“-ს ძირითად საქმიანობაა საქართველოში საცალო და საბითუმო ვაჭრობა ელექტროლი საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, კერძოდ, კატეგორიების მიხედვით:

1. საცალო და საბითუმო ვაჭრობა სამაგრი ნაწილებით და სამშენებლო მასალებით;
2. საცალო და საბითუმო ვაჭრობა მექანიკური და ელექტრო ხელსაწყოებით.

კომპანიის პრინციპია მომხმარებელს შესთავაზოს საუკეთესო კომპლექსური წინადადება ფასის, ხარისხისა და თანმდევი მომსახურების ეფექტური კომბინაციით.

3. კომპანიის სტრუქტურა:

3.1. კომპანიას გააჩნია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფები:

- ♦ ადმინისტრაციული განყოფილება;
- ♦ ფინანსური განყოფილება;
- ♦ ბუღალტერია;
- ♦ შესყიდვების განყოფილება;
- ♦ საწყოები ;
- ♦ საცალო გაყიდვების მაღაზიები;
- ♦ დისტრიბუციით გაყიდვების ქსელი: პრესსელი-დისტრიბუტორი-სუპერვაიზერი.

4. ბიზნეს რისკების განხილვა:

კომპანია „მასტერ ჯგუფი“ იმპორტირებას და შემდეგ რეალიზაციას უწევს სამიათასამდე დასახელების პროდუქტს რამოდენიმე სასაქონლო ხაზიდან.. კომპანია ფლობს ტექნიკის მაკომპლექტებელი და სახარჯი მასალების, ასევე სამაგრი და სხვა სამშენებლო მასალების ფართო სერიებს.

„მასტერ ჯგუფი“ ახდენს საკუთარი პროდუქციის დისტრიბუციას მთელი საქართველოს მასშტაბით.

კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ დონეზე საერთაშორისო მომწოდებლებთანაც, ისეთები როგორიცაა რობერტ ბოში, ჰოროზი, ლედ ელექტრიქსი, თულსენის ხელსაწყოები და სხვა.

გარდა ამისა შპს "მასტერ ჯგუფი" გახლავთ საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე სამაგრი საშუალებების იმპორტიორი. კომპანია იმპორტირებას და შემდგომში დისტრიბუციას უწევს 1000-მდე დასახელების სხვადასხვა სახეობის სამაგრ დეტალს. პროდუქციის ძირითადი სახეობებია:

- ჭანჭიკები, ქანჩები და საყელურები (მათი შემავსებლები, ღეროები);
- სახურავის გადასახური შურუპები (რკინის, ხის და ფერების მიხედვით);
- ხის და რკინის შურუპები (მუყაო თაბაშირის, პროფილების, ავეჯის და ზოგადი ხის);
- ანკერები (კაუჭიანი ანკერები, დასაჭედებელი ანკერები, გასაჭედი ანკერები და სხვა);
- სხვადასხვა სახეობის ბურღები, პლასტმასის ხამუტები და დუბელები;

კომპანია დღეისათვის გამორჩეულ ადგილს იკავებს პროდუქციის ხარისხისა და აქტიური მარკეტინგული საქმიანობის ხარჯზე, თუმცა არსებობს სამომავლო რისკებიც.

როგორც განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყანა, საქართველო, ამ ეტაპზე ვერ ფლობს განვითარებულ ბიზნეს გარემოს და ინფრასტრუქტურას.

მსოფლიოში არსებული ეკონომიკური კრიზისი შესაძლოა შეეხოთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც პარტნიორული ურთიერთობა გააჩნიათ შპს „მასტერ ჯგუფი“-სთან. ისინი არიან საქონლის ძირითადი მომწოდებლები და ამ ყველაფერმა შესაძლოა გავლენა იქონიოს იმპორტირებული საქონლის ფასსა და მოწოდების პირობებზე, რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს კომპანიის სამომავლო შედეგებზე. კერძოდ, მოსალოდნელია ფასების მერყეობა საქონელზე, ამ ყველაფერს ემატება ვალუტის საკურსო სხვაობების მერყეობა და მეორეს მხრივ, მოსახლეობის სოციალური

მდგომარეობის გამო არამიზანშეწონილია საქონელზე ფასების გაზრდა, რაც ზრდის ბიზნესის რისკებს და სტაბილურობას.

სამომავლოდ დაგეგმილია კომპანიაში სარეკლამო და მარკეტინგული პროცესების გააქტიურება და სადისტრიბუციო საქმიანობის საგრძნობლად გაუმჯობესება. ინტერნეტ სივრცეში მზადდება კომპანიის ინტერნეტ პორტალი, სადაც მომხმარებელი ვირტუალურად შეძლებს საქონლის შეკვეთის გაკეთებას და მის კონტროლს ადგილზე მიტანამდე. მენეჯმენტის აზრით, ეს მომსახურება შეამცირებს საქონლის უკან დაბრუნებას და გაზრდის რეალიზაციას.

5. მომსახურების მიწოდების დინამიკა:

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის საქმიანობის უკეთ გაცნობის მიზნით წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია მომსახურების მიწოდების დინამიკა ბოლო სამი წლის განმავლობაში:

გაყიდვების მიწოდების ყოველწლიური დინამიკა

პერიოდი	შემოსავალი ეროვნულ ვალუტაში
2019 წელი	5 842 725
2018 წელი	5 254 959
2017 წელი	4 591 545

6. სოციალური პროექტები:

კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს სხვადასხვა სახის დახმარებებსა და თანამშრომელთა წახალისების პროგრამებს.

წარმოდგენილი მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2020 წლის 24 სექტემბერს.

შპს „მასტერ ჯგუფის“ დირექტორი:



მირიან ჟიჟიაშვილი



შპს „მასტერ ჯგუფი“-ს ს/კ 401945222

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კომპანიის დასახელება: შპს „მასტერ ჯგუფი“-ს ს/კ (ს/ნ : 401945222)

ფინანსური მდგომარეობა:

აქტივები	31.12.2019	31.12.2018
ფული და ფულის ექვივალენტები	486542	57745
სავაჭრო მოთხოვნები	226633	191920
გადახდილი ავანსები	123831	267372
მარაგები	1826914	1720830
მზა პროდუქცია		
სხვა მიმდინარე აქტივები	803	3
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2664723	2237870
გუდვილი		
ძირითადი საშუალება	562778	173046
არამატერიალური აქტივები	222	616
სხვა გრძელვადიანი აქტივები	95525	68584
სულ გრძელვადიანი აქტივები	658525	242246
სულ აქტივები	3323248	2480116
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	513123	246719
გადასახდელი ხელფასები	40020	48440
საგადასახადო ვალდებულებები		24997
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	1408927	1330700
მიღებული გრანტი		
სხვა ვალდებულებები	1291	1296
სულ ვალდებულებები	1963361	1652152

დირექტორი:

/ მირიან ჟიჟიაშვილი/

მთ. ბუღალტერი:

/რუსუდან ლომთაძე/


მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება



საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალი	31.12.2019	31.12.2018
შპს -ს კაპიტალი	200	200
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1359687	1287906
განაწილება მესაკუთერებზე (მათ შორის დივიდენდი)		-460142
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1359887	827964

დირექტორი:  / მირიან ჟიჟიაშვილი/
 მთ. ბუღალტერი:  / რუსუდან ლომთაძე/



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანია შპს „მასტერ ჯგუფი“-ს დაფუძნებულია ერთი ფიზიკური პირის მიერ „მეწარმეთა შესახებ“ კომპანიის შესაბამისად და რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმოო იურიდიული პირების რეესტრში 2010 წლის 16 მარტს.
დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებულია 2010 წლის 15 აპრილიდან;
იურიდიული საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, დიდმის მასივი, ნაკვეთი №1
ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქერჩის ქ. №6
საიდენტიფიკაციო ნომერი: 401945222
დამფუძნებელი და დირექტორი: პ/ნ 01001059161, მირიან ჟიჟიაშვილი
კომპანია „მასტერ ჯგუფი“ იმპორტირებას და შემდეგ რეალიზაციას უწევს სამიათასამდე დასახელების პროდუქტს რამოდენიმე სასაქონლო ხაზიდან.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს „მასტერ ჯგუფი“-ს პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

სააღრიცხვო პოლიტიკა შემუშავებულია ნორმატიული აქტების საფუძველზე:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისთვის;

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს „მსს ფასს“-ზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი; უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების / ფულადი აქტივების / ვალდებულებების



აღრიცხვა ხდება ანგარიშგების დღეს არსებული ეროვნული გაცვლითი კურსის შესაბამისად. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები ასახულია ცალ-ცალკე, პირდაპირი მეთოდით.

ვალუტა	სავალუტო გაცვლითი კურსები პერიოდის ბოლოს	
	31.12.2019	31.12.2018
აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ევრო	3.2095	3.0701

3.1 კომპანიის ფულადი სახსრები სალაროში და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს:

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები

დასახელება	31.12.2019 ₾ მდგომარ.	31.12.2018 ₾ მდგომარ.
ფული ეროვნულ ვალუტაში	486542	57745
ჯამი	486542	57745

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის საქონლის რეალიზაციის / მომსახურების შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები. შესაბამისად, ისინი კლასიფიცირდებიან მოკლევადიან აქტივებად. აღიარდება საქონლის/მომსახურების გასაყიდი ფასის ოდენობით.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები

დასახელება	31.12.2019 ₾ მდგომარ.	31.12.2018 ₾ მდგომარ.
დებიტორიული დავალიანება	226633	191920
ჯამი	226633	191920

3.3 გადახდილი ავანსები

კომპანიის ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის/მომსახურების შესყიდვის მიზნით და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

3.3 გადახდილი ავანსები



დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	123831	267372
ჯამი	123831	267372

3.4 მარაგები

სასქონლო მატერიალური ფასეულობები შემოსავალში აიღება შემენის ფაქტობრივი თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს (გარდა საგადასახადო ორგანოების მიერ საწარმოსთვის დასაბრუნებელი გადასახადებისა).

ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ბარათებით და აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად.

3.4 მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
საქონელი/ სათადარიგო/ სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	1826914	1720830
ჯამი	1826914	1720830

3.5 სხვა მიმდინარე აქტივები

3.5 სხვა მიმდინარე აქტივები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
საბაჟოზე გადახდილი ავანსები	803	3
ჯამი	803	3

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარების კრიტერიუმები ბასს 16 - და მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახდელებს, არადაბრუნებად გადასახადებს, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და ტრანსპორტირების, მონტაჟისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. ერთჯერადი გამოყენების ან/და სხვა საგნები, რომელთა გამოყენების ვადის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია, ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება გამიჯნულად სხვა მიმდინარე აქტივების შემადგენლობაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის თარიღიდან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში წრფივი მეთოდით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით.



ჯგუფის სასარგებლო მომსახურების ვადები და ღირებულება პერიოდის ბოლოსთვის:

3.6 ძირითადი საშუალებები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
შენობა	308531	0
მანქანა დანადგარები	16884	6846
ოფისი აღჭურვილობა	28942	26698
ავეჯი და კომპიუტერები	29012	38997
სატრანსპორტო საშუალებები	62113	35977
იჯარით აღებული შენობის კეთილმოწყობა	105208	53922
ახვა ძირითადი საშუალებები	12088	10605
ჯამი	562778	173046

3.7. არამატერიალური აქტივები (საბუღალტრო პროგრამა „Fina,,)

3.7 არამატერიალური აქტივები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
სხვა არამატერიალური აქტივები	222	616
ჯამი	222	616

3.8 გადავადებული საგადასახადო აქტივი და წინასწარ გადახდილი გადასახადები:

მსს ფასს-ის 29-ე განყოფილების თანახმად საგადასახადო მოგებასა და ფინანსურ მოგებას შორის დროებითი სხვაობების შედეგად გადასახდელი და გაანგარიშებული გადასახადებს შორის სხვაობა აისახება საგადასახადო აქტივის ან გადავადებული მოგების გადასახადის სახით.

3.8 გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
გადავადებული საგადასახადო აქტივები	95525	68584
ჯამი	95525	68584



3.9. სავაჭრო ვალდებულებები

3.9. სავაჭრო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	513123	246719
ჯამი	513123	246719

სავაჭრო ვალდებულებები მიმდინარე პერიოდის მოვალეობაა, რომელიც წარმოიქმნება საქონლის მოწოდებასთან ან/და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით.

3.10. სხვა ფინანსური ვალდებულებები:

საწარმოს საანგარიშგებო წლის დასაწყისისათვის გააჩნდა გამოუმუშავებელი შემოსავლის (მიღებული ავანსი) მცირე ნაშთი.

3.10 გამოუმუშავებელი შემოსავალი

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
მიღებული ავანსები	1291	1296
ჯამი	1291	1296

3.11 შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

3.11 შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
გადახდილი ხელფასები	40020	48440
ჯამი	40020	48440

3.12. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიის საგადასახადო ვალდებულებას 31.12.2018 წლისთვის შეადგენს მხოლოდ ის ვალდებულება, რომელიც აისახება პერიოდის ბოლოს: გადასადხელი დღგ, რომლის გადახდაც ხდება არაუგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

3.12 საგადასახადო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
გადასადხელი მოგების გადასახადი	0	24997
ჯამი	0	24997



3.13. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სესხი აღირიცხება საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

3.14 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
გრძელვადიანი სესხები	1408927	1330700
ჯამი	1408927	1330700

3.14. გაუნაწილებელი მოგება/ზარალი

კომპანიას კაპიტალში აქვს საქმიანობის შედეგად მიღებული გაუნაწილებელი მოგება, რომელიც ასახულია მის ბალანსში.

3.15 საკუთარი კაპიტალი

დასახელება	31.12.2019 წ მდგომარ.	31.12.2018 წ მდგომარ.
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	200	200
გაუნაწილებელი მოგება	1359687	827765
ჯამი	1359887	827965

3.16. შემოსავლის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც:

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- შესაძლებელია ამონაგები თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა;

შემოსავლების აღრიცხვა ხდება დარიცხვის მეთოდით. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

3.17. ხარჯების აღიარება



ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური

სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ცალკეული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა:

მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები გადაცემისთანავე მიეკუთვნება საოფისე ხარჯებს.

4. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშის განმარტებით შენიშვნებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

დირექტორი:



/მირიან ქიქვაშვილი/

მთ. ბუღალტერი:



/რუსუდან ლომთაძე/

